ნამდვილი ნათესაური კავშირის დამყარებელი ის არ არის, ვინც მხოლოდ საპასუხოდ აკეთებს ამას, არამედ ნამდვილი კავშირის დამყარებელი ისაა, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს იმასთან, ვინც გაწყვეტს მასთან კავშირს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნამდვილი ნათესაური კავშირის დამყარებელი ის არ არის, ვინც მხოლოდ საპასუხოდ აკეთებს ამას, არამედ ნამდვილი კავშირის დამყარებელი ისაა, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს იმასთან, ვინც გაწყვეტს მასთან კავშირს».

ალლაჰის მოციქული ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას ამცნობს: ნამდვილი, სრულყოფილი კავშირის დამყარებელი ისაა, ვინც მიუხედავად იმისა, რომ მისი ნათესავები მასთან კავშირს წყვეტენ და შესაძლოა, უსამართლოდ მოექცნენ, აგრძელებს ამ კავშირის შენარჩუნებას და მათთან სიკეთით ურთიერთობას. ნამდვილი, სრულყოფილი კავშირის დამყარებელი ის არის, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს მაშინაც კი, როცა მასთან გაწყვეტენ, და თუნდაც მის მიმართ ცუდად მოიქცნენ, ის მაინც პასუხობს მათ სიკეთით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3854